დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

21.02.2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი მარინა

გვარი ჩავლეიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**211349192**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	**ეკონომიკა**
2	უმაღლესი განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
3	კვალიფიკაციის დონე[2]	**მე-7**
4	კვალიფიკაციის დასახელება	**ეკონომიკის მაგისტრი Master of Economics**
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	**-**
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	**0311 Economics**
7	სწავლების ენა	**ქართული**
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	**120 ECTS**
9	განხორციელების ადგილი[5]	**საქართველო, 0175, მ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.#77, კორპ.#6**
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	**აკრედიტებული, 18.01.2022 № 8061**
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	**28.12.2021**
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	**28.12.2022**
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	**31.12.2028**

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში.
2. პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლისათვის მნიშვნელოვანია „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდეს სავალდებულო კურსი.
3. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში (მაგ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ინოვაციური მენეჯმენტი და სხვა) შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან.
4. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა.
5. რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომის

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა და სამაგისტრო კვლევის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე/ლიტერატურაზე დაფუძნება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ-საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ეკონომიკა“ მიიღო აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №38060, 18.01.2022). დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2022 წლის 27 დეკემბერს. ანგარიში ცენტრის მიერ შეფასებისთვის გადმოცემულ იქნა 2022 წლის 9 თებერვალს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, რეკომენდაციებზე მუშაობის პროცესში, შესაბამისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი.

დაწესებულების მიერ განხორციელებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ მითითებული რეკომენდაციები, პროგრამა „ეკონომიკა“ კურსდამთავრებულს ანიჭებს ეკონომიკის მაგისტრის კვალიფიკაციას, რომელიც შეესაბამება სწავლების სფეროს კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალურ სფეროს 0311 (ეკონომიკა). რეკომენდაციის შესაბამისად ჩასწორებულია ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, ასევე ხარვეზები კორექტირებულია კურიკულუმის რუკაში. სასწავლო კურსი „ცოდნის ეკონომიკა“ შინაარსისა და შესასწავლო თემატიკიდან გამომდინარე, მეორე სემესტრიდან გადატანილია პირველ სემესტრში. განხორციელებულია შედეგების კორექტირება შემდეგ სასწავლო კურსებში: „ცოდნის ეკონომიკა“ - გადის შვიდ შედეგზე (1,2,3,4,7,8,9); „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“ - შვიდ შედეგზე (2,5,6,7,8,9); „ინოვაციური მენეჯმენტი“ - ხუთ შედეგზე (3,4,7,8,9). გათვალისწინებულია რეკომენდაცია და „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდა სავალდებულო კურსი. მოდიფიცირებულია სასწავლო კურსების „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“, „ინოვაციური მენეჯმენტი“ სილაბუსების შინაარსი და შესაბამისობაშია მოყვანილი სწავლის შედეგებთან და საფეხურთან. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება უზრუნველყოფილი იქნება უახლესი ლიტერატურის გამოყენებით. ნაშრომის ხელმძღვანელები აქტიურად იმუშავებენ საკვლევ თემასთან დაკავშირებული უახლესი ლიტერატურის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შემუშავებასა და უზრუნველყოფენ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვას.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია მეტად გაიზარდოს შრომის ბაზრის კვლევის არეალი; პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში აისახოს თავისუფალი კომპონენტები.
2. მაგისტრანტობის კანდიდატისთვის წინასწარ იყოს ცნობილი სპეციალობაში შიდა გამოცდის საკითხები ჩასაბარებელი სასწავლო კურსების შესაბამისად. სასურველია

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

აღნიშნული საკითხების ჩამონათვალი თან ახლდეს ტსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამას.

3. სასურველია უნივერსიტეტს წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს; კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან, ასევე, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სწავლების აღნიშნული საფეხურისთვის სასურველია განხილულ იქნეს როგორც არჩევითი სასწავლო კურსი.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის პროგრამის საშუალებითაც ნათელი გახდეს დაცვის წინაპირობა.
5. სასურველია გაიზარდოს სპეციალობის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა, მაგალითად, დაემატოს კურსები „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“, „აგრარული ეკონომიკა“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“, პრაქტიკული კურსი „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში“ და სხვა, რომელსაც მიიჩნევს შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი დეპარტამენტი.
6. კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი პროექტი (5 ECTS) და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად გადანაწილდეს კვლევითი კომპონენტის კრედიტები.
7. განახლდეს დამატებითი ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და გამოყენებული იყოს უახლესი ქართულენოვანი (სტატიები, მონოგრაფიები....) და უცხოენოვანი ლიტერატურა.
8. დაკორექტირდეს არჩევით სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა. კურსი ფართო სპექტრით უნდა ასახავდეს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელიც თავისთავად განიხილავს ანალიზს საქართველოსთან მიმართებაში.
9. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს (გარკვეული ფინანსების გათვალისწინება ამ მიმართულებით) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას და სტუდენტების ჩართულობას კვლევებში.
10. სასურველია მომზადდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.
11. გაძლიერდეს მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულებით განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დაწესებულებამ გაითვალისწინა მე-2, მე-3, მე-4, მე-7, მე-8 და მე-11 რჩევა, კერძოდ, პროგრამას თან დაერთო სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ სასწავლო კურსში ტესტების ნიმუშები და აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე; სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე გადატანილია არჩევით სასწავლო კურსებში; სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი და იგი ასახულია აისახა საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში; სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ განახლებულია დამატებითი როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურა; დაკორექტირებულია არჩევით სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსი, ლიტერატურა. სასწავლო კურსის ახალი სახელწოდებაა „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა“. გაღრმავებულია და დაზუსტებული თემატიკა, რომელშიც ასახულია კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. განახლებულია დამატებითი ლიტერატურა უახლესი მასალებით, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე (რაოდენობა 7 ერთეული); აკადემიური პერსონალისთვის კვლევითი მიმართულებით მხარდაჭერის მიზნით განახორციელა გარკვეული ცვლილებები. ფაკულტეტის ბიუჯეტში (კოდი 22106) სესიები, კონფერენციები, ყრილობები, სემინარები და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება გაითვალისწინა 60000 ლარი, ასევე გათვალისწინებულია ნორმატიული აქტები, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენასთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები 2000 ლარი (კოდი 2233). წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაზრდილია მხარდაჭერა როგორც სტუდენტების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პუბლიკაციების, სტატიების გამოქვეყნების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემების, კონფერენციების/სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებით, რომელიც ასახულია სტუ-ის წლიურ ნაერთ ბიუჯეტში (მუხლი 0104-მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; კოდი 010404 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა -50 000 ლარი; კოდი 010405 - დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 50 000 ლარი).

დამატებითი ინფორმაცია[10]

შეცვლილია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო კურსის „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ და „გლობალური ეკონომიკა სილაბუსის ავტორი, სასწავლო კურსს „მაკროეკონომიკა II” დაემატა ახალი ძირითადი ლიტერატურა, რომლის შესაბამისად მოდიფიცირდა სილაბუსი. სასწავლო კურსი „ ცოდნის ეკონომიკა“ შინაარსისა და შესასწავლი მასალიდან გამომდინარე გადატანილია პირველ სემესტრში, ასევე მოეხსნა წინაპირობა, დაზუსტდა კურსის სწავლის შედეგები, კურიკულუმის რუკაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები.

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ) ის ან/და რჩევ(ებ) ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[13]	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია I[14]	
შეფასება	
რჩევა[15]I	2. მაგისტრანტობის კანდიდატისთვის წინასწარ იყოს ცნობილი სპეციალობაში შიდა გამოცდის საკითხები ჩასაბარებელი სასწავლო კურსების შესაბამისად. სასურველია აღნიშნული საკითხების ჩამონათვალი თან ახლდეს ტსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამას.
შეფასება	2. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო ტესტების ნიმუშები პროგრამას თან დაერთო. ასევე. ინფორმაცია განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე. http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/mag/eco_tests.pdf
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა • სტუ-ს ვებ-გვერდი http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/mag/eco_tests.pdf

სტანდარტის დასახელება	2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	1.რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში. 2.პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლისათვის მნიშვნელოვანია „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდეს სავალდებულო კურსი.

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	1. ჩასწორებულია ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, ასევე ჩასწორებულია ხარვეზები კურიკულუმის რუკაში.კერძოდ, სასწავლო კურსი „ცოდნის ეკონომიკა“ შინაარსისა და შესასწავლო თემატიკიდან გამომდინარე, მეორე სემესტრიდან გადატანილია პირველ სემესტრში სასწავლო კურსი გადის შვიდ შედეგზე (1,2,3,4,7,8,9); „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“ გადის შვიდ შედეგზე (2,5,6,7,8,9); „ინოვაციური მენეჯმენტი“ გადის ხუთ შედეგზე (3,4,7,8,9) 2. გათვალისწინებულის რეკომენდაცია და „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდა სავალდებულო კურსი.
რჩევა[17]II	3. სასურველია უნივერსიტეტს წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს; კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან, ასევე, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სწავლების აღნიშნული საფეხურისთვის სასურველია განხილულ იქნეს როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. 4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის პროგრამის საშუალებითაც ნათელი გახდეს დაცვის წინაპირობა.
შეფასება	3. გათვალისწინებულია აღნიშნული რჩევა და სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), კურსის შენაარსიდან და სპეციფიკიდან, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე გადატანილია არჩევით სასწავლო კურსებში. 4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა ასახა საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში და აისახა მასში, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა • სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი №1) • ამონაწერი დეპარტამენტის სხდომისა და ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან (დანართი №3) • შრომითი ხელშეკრულების დანართი, პროფესორის სამუშაოთა აღწერილობა. აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია (დანართი №2)

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II[18]	3.რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში (მაგ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ინოვაციური მენეჯმენტი და სხვა) შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან. 4.რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა.
შეფასება	3. განხილულია სასწავლო კურსების „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“, „ინოვაციური მენეჯმენტი“ შინაარსი და შესაბამისობაშია მოყვანილი სწავლის შედეგებთან და საფეხურთან. მოდიფიცირებულია სილაბუსები, შეცვლილია თემატიკის დასახელება, შინაარსი, თანმიმდევრობა. 4. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის მიერ უზრუნველყოფილი იქნება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს უახლესი ლიტერატურის გამოყენება.
რჩევა[19]II	7. განახლდეს დამატებითი ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და გამოყენებული იყოს უახლესი ქართულენოვანი (სტატიები, მონოგრაფიები....) და უცხოენოვანი ლიტერატურა. 8. დაკორექტირდეს არჩევით სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა. კურსი ფართო სპექტრით უნდა ასახავდეს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელიც თავისთავად განიხილავს ანალიზს საქართველოსთან მიმართებაში.
შეფასება	7. სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ განახლებულია დამატებითი როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურა. 8. კორექტირებულია არჩევითი სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსი, ლიტერატურა. სასწავლო კურსის ახალი სახელწოდებაა „საქართველოს

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა“. გაღრმავებულია და დაზუსტებული თემატიკა, რომელშიც ასახულია კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. განახლებულია დამატებითი ლიტერატურა უახლესი მასალებით, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე (რაოდენობა 7 ერთეული).
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა • სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი №1) • ამონაწერი დეპარტამენტის სხდომისა და ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან (დანართი №3) • შრომითი ხელშეკრულების დანართი, პროფესორის სამუშაოთა აღწერილობა. აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია (დანართი №2)
სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია II[20]	5. რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა და სამაგისტრო კვლევის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე/ლიტერატურაზე დაფუძნება.
შეფასება	5. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის მიერ უზრუნველყოფილია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა და სამაგისტრო კვლევის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე/ლიტერატურაზე დაფუძნება. ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები აქტიურად იმუშავებენ საკვლევ თემასთან დაკავშირებული უახლესი ლიტერატურის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შემუშავებაში. ასევე უზრუნველყოფენ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვას
რჩევა[21]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა • დაცული სამაგისტრო ნაშრომები (დანართი №5)
სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია II[22]	-
შეფასება	-
რჩევა[23]II	11. გაძლიერდეს მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულებით განვითარებისთვის.
შეფასება	11. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და აკადემიური პერსონალისთვის კვლევითი მიმართულებით მხარდაჭერის მიზნით განახორციელე გარკვეული ცვლილებები. ფაკულტეტის ბიუჯეტში (კოდი 22106) სესიები, კონფერენციები, ყრილობები, სემინარები და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება გაითვალისწინა 60000 ლარი, ასევე გათვალისწინებულია ნორმატიული აქტები, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენასთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები 2000 ლარი (კოდი 2233). წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაზრდილია მხარდაჭერა როგორც სტუდენტების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პუბლიკაციების, სტატიების გამოქვეყნების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემების, კონფერენციების/სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებით, რომელიც ასახულია სტუ-ის წლიურ ნაერთ ბიუჯეტში (მუხლი 0104-მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; კოდი 010404 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა -50 000 ლარი; კოდი 010405 - დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 50 000 ლარი)
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა • ფაკულტეტის ბიუჯეტი, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №4)

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[24]

1. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ეკონომიკა“
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა
3. სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი №1)
4. შრომითი ხელშეკრულების დანართი, პროფესორის სამუშაოთა აღწერილობა. აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია (დანართი №2)
5. სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის სხდომისა და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები (დანართი №3)
6. ფაკულტეტის ბიუჯეტი, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №4)
7. დაცული სამაგისტრო ნაშრომები (დანართი №5)

სულ 13 გვერდი

ექსპერტის ხელმოწერა

[24]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა